სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# 1-2 Quarterly Report

# NEWSLETTER 2017

www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

E NEWSLETTER
www.procurement.gov.ge
2017
1-2
კვარტალური ანგარიში

# სიახლეები eProcurement სისტემაში

2017 წლის თებერვლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონულად განთავსება.

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მონიტორინგმა ცხადყო, რომ საჭიროებას მოითხოვდა რაიმე ფორმით სტანდარტული, მეტად ფორმალიზებული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება.

შესაბამისად, 2017 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა სატენდერო დოკუმენტაციის წარდგენის ელექტრონული ფორმა, რომელიც ითვალისწინებს სისტემაში ჩაშენებული ელექტრონული ველების საშუალებით სატენდერო დოკუმენტაციისთვის გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენას. აღნიშნული ველები დაჯგუფებულია თემატურად (მაგალითად, შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ტექნიკური მოთხოვნები, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი და ა.შ.), რაც სატენდერო დოკუმენტაციებს ხდის სტანდარტიზებულს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას, ნებისმიერ ტენდერში, განურჩევლად შემსყიდველი ორგანიზაციისა და შესყიდვის ობიექტისა, ელექტრონულ ფორმაში ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას, მარტივად მოიძიონ მათთვის სასურველი/საჭირო ინფორმაცია ამა თუ იმ სატენდერო პირობის შესახებ. ამავდროულად, სატენდერო დოკუ-

მენტაციის ელექტრონული ფორმა შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, კითხვარში დამატებით ატვირთოს დოკუმენტები (PDF და Excel ფორმატით).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმა მინიმუმამდე ამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან მექანიკური შეცდომების დაშვების რისკს, რამდენადაც ელექტრონული მოდული ეფუძნება კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ რეგულაციებს. შესაბამისად, ამ რეგულაციების გათვალისწინებით, სისტემა ავტომატურად ხსნის კითხვარის სათანადო ველს, რომელიც უნდა შეავსოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ. ამასთან, სისტემა არ აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას ტენდერის გამოცხადების საშუალებას, თუკი არ იქნება შევსებული ყველა სავალდებულო ველი. ხაზგასასმელია ისიც, რომ კითხვარი მოთხოვნების ჩამოყალიბებისას შემსყიდველ ორგანიზაციებს ახსენებს სააგენტოს რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, ანგარიშსწორების ვადები).

აღნიშნულ ცვლილებას მინიმუმამდე დაყავს შემსყიდველების მხრიდან მექანიკური შეცდომების დაშვების რისკი, ასევე მოხდა სატენდერო დოკუმენტაციის ფორმალიზება და სტანდარტიზება. მიმწოდებლებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება სატენდერო დოკუმენტაციაში, ვინაიდან მიუხედავად შემსყიდველისა და/ან შესყიდვის ობიექტისა, ტენდერთან დაკავშირებული ინფორმაცია მარტივად იძებნება კითხვარის ნომრით.

ელექტრონული დოკუმენტაციის სისტემის ეს მოდული შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით, კითხვარი გენერირდება არჩეული შესყიდვის საშუალებისა და CPV კლასიფიკატორის შესაბამისად.

პირველ ეტაპზე, ელექტრონული სატენდერო დოკუმენტაციის მოდული ხელმისაწვდომია მხოლოდ SPA (ელექტრონული ტენდერი რევერსული აუქციონით) და NAT (ელექტრონული ტენდერი რევერსული აუქციონის გარეშე) ტიპის ტენდერებში.



# ახალი ელექტრონული სერვისები

შემოსავლების სამსახური

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ჩართულობით, 2017 წლის პირველ ნახევარში დანერგა სრულიად ახალი ელექტრონული სერვისები. შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში eProcurement ჩაშენებული ელექტრონული სერვისების გამოყენებით, სისტემურად მიიღონ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან, აქტიურ (მიმდინარე) შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებლების სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანებისა და დღგ-ს გადამხდელის სტატუსის შესახებ. ეს ახალი ელექტრონული სერვისები ამარტივებს შერჩევა/შეფასების პროცესში, ეკონომიკური აგენტების თაობაზე ზემოაღნიშნული მონაცემების მიღებას, საგრძნობლად დააჩქარებს და გაამარტივებს ხელშეკრულების გაფორმებას, დაზოგავს დროსა და რესურსებს როგორც მიმწოდებლებისათვის, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის.



| პრეტენდენტი | ბოლო შეთავაზება თანხა/დრო | პირველი შეთავაზება თანხა/დრო | შეთავაზებები |
|---|---|---|---|
| გიორგი | 3`000.00 02.05.2017 12:48 | 3`000.00 02.05.2017 12:48 | [1] ნახვა |

საკვალიფიკაციო მონაცემები სსიპ "შემოსავლების სამსახურიდან"

| თარიღი | დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ | დღგ-ს გადამხდელი | მონაცემების განახლება |
|---|---|---|---|
| 02.05.2017 15:32 | კი | კი | |
| 02.05.2017 15:31 | კი | კი | |

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საერთაშორისო პრიზმაში

**2017** წლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ აქტიურად გააგრძელა დაწყებული თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა.

## WB DFID

**2017 წლის 7 და 9 თებერვალს გაიმართა სამუშაო შეხვედრები მსოფლიო ბანკის და ბრიტანეთის მთავრობის (DFID-ის) მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის მისიასთან**, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია. კვლევები ეხებოდა 2013-2015 წლების სახელმწიფო შესყიდვების მონაცემების ანალიზს და მონაცემთა წარმოჩენისა და გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვას.

## EU TAIEX

**2017 წლის 20-21 თებერვალს, ევროკავშირის TAIEX-ის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა ორდღიანი სემინარი საჯარო შესყიდვების ევროდირექტივაზე**. სემინარი ჩაატარეს ევროკავშირის სამმა ექსპერტმა, რომლებმაც დამსწრე აუდიტორიას გააცნეს საჯარო შესყიდვების რეგულაციები ახალი დირექტივის მიხედვით. სემინარს ესწრებოდნენ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, იუსტიციის, ენერგეტიკის სამინისტროების, საავტომობილო გზების დეპარტამენტის და კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები.

## USAID G4G

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, USAID-ის პროგრამა G4G-ს მხარდაჭერით, გამართა ორდღიანი გასვლითი მედია-ტური ჟურნალისტებისთვის**. მედიატურის ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლებმა ჟურნალისტებს გააცნეს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმების, არსებული რეგულაციების და შესყიდვების პროცედურების შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტების მხრიდან გამოითქვა დიდი ინტერესი და სურვილი, რომ მსგავსი

ტიპის საინფორმაციო შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდეს, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის უფრო კვალიფიციურად გაშუქებას მედიაში.

## OECD/EU SIGMA

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით და SIGMA-ს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 7 და 9 მარტს გაიმართა ორდღიანი სემინარი თემაზე „ევროკავშირის ახალი დირექტივები კომუნალური სექტორისა და კონცესიების შესახებ“.** სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ენერგეტიკისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. სემინარზე SIGMA-ს ექსპერტებმა მონაწილეებს გაუზიარეს გამოცდილება ევროკავშირის ქვეყნებში კონცესიებისა და კომუნალურ სექტორში არსებული რეგულაციების შესახებ. აღსანიშნავია, რომ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საკანონმდებლო დაახლოება ზემოაღნიშნულ დირექტივებთან გათვალისწინებულია 2020 წლიდან.

## DCFTA USAID G4G

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში. სწორედ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოამზადა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელსაც ითვალისწინებს DCFTA-ის შეთანხმების 144-ე მუხლი. აღნიშნული ცვლილებების გაცნობის მიზნით, **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, USAID-ის პროგრამა G4G-ს მხარდაჭერით გამართა საჯარო შეხვედრა ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან**. შეხვედრის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება ბიზნესს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

2017 წლის 6 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე „საქართველოს 2017 წლის 6 აპრილის №617 კანონი.

## giz

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშომლობის საზოგადოებასთან (GIZ). აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სრულიად ახალი კანონის შემუშავებაზე. **2017 წლის მარტში, საერთაშორისო კონსულტანტმა მოამზადა კანონის პირველი ვერსია, რომლის განხილვაც გაიმართა 2017 წლის 24-26 აპრილს, GIZ-ის ექსპერტის ვიზიტის დროს.** ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან, მომზადდა შენიშვნები და კომენტარები, რომელიც აისახება კანონის პროექტში.

## WB PRIMO

**2017 წლის 23-25 მაისს, ქ. კიევში, მსოფლიო ბანკისა და უკრაინის ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა მე-13 საერთაშორისო ფორუმი Procurement, Integrity, Management and Openness (PRIMO).** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აღნიშნულ ფორმუმზე წარსდგა ახალი რეფორმებით, რომლებიც განხორციელდა 2016-2017 წლებში. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა შესყიდვის ორი ახალი პროცედურის (ორ ეტაპიანი და ტენდერი რევერსული აუქციონის გარეშე) დანერგვაზე, ელექტრონული კატალოგის შექმნაზე, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე და ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. ფორუმის მონაწილეებმა მოიწონეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პროგრესი და დაამტკიცეს მომავალი წლის სამოქმედო გეგმა.

## EU Twinning

**2017 წლის 2 ივნისს, ევროკავშირის Twinning-ის პროგრამის დაფინანსებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, კონკურენციის სააგენტოსთან ერთად გამართა ერთობლივი ტრენინგი თემაზე „კორუფციული გარიგებების რისკების შემცირების მეთოდები“.** სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მთავრობის ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე იუსტიციის სამინისტროს და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები.

## EBRD

**2017 წლის 19-21 ივნისს, ქ. ჟენევაში გაიმართა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საჯარო შესყიდვების შეთანხმების შესახებ საერთაშორისო სემინარების ციკლი**, სადაც გაიმართა საჯარო შესყიდვების შეთანხმებაში გაწევრიანების შესაძლო შედეგების კვლევის ანალიზი. აღნიშნული კვლევა ჩატარდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს საჯარო შესყიდვების შეთანხმების კომიტეტის სხდომაში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი საქმიანი შეხვედრები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებთან.

giz

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს რეგიონალური შეხვედრების სერიას ადგილობრივ შემსყიდველ ორგანიზაციებთან და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. აღნიშნული სერიის ფარგლებში **2017 წლის ივნისში გაიმართა რეგიონალური შეხვედრა ქ.ქუთაისში**. შეხვედრაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა დამსწრე აუდიტორიას გააცნეს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე რეფორმები და უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. აღნიშნული შეხვედრები იმართება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით.

## PFM
## OGP
## PEFA
## DCFTA

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად აგრძელებს უწყებათაშორისი საბჭოებში თუ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით. ამ კუთხით აქტიური თანამშრომლობა გრძელდება ანტიკორუფციულ, PFM, OGP, PEFA და DCFTA-ის 2017 წლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. **მომზადდა 2017 წლის პირველი და მეორე კვარტლების მიმდინარეობის ანგარიშები, რომლებიც გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში/სამდივნოებში**.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან კოორდინაციით, მოამზადა 2015-2016 წლების ეროვნული ანტიკორუფციული გეგმის 2016 წლის პროგრესის ანგარიში და შეიმუშავა 2017-2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესაბამისი კომპონენტი.

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საერთაშორისო ჭრიზმაში

# მსოფლიო ბანკის მიერ აღმინისტრირებული ტექნიკური დახმარების პროგრამა

**დაფინანსებულია კარგი მმართველობის ფონდის მიერ (დიდი ბრიტანეთი)**

# „სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება“

პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას სახელმწიფო შესყიდვების შედეგების გაუმჯობესებაში, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების და სისტემების გაძლიერების გზით. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო შესყიდვების ხარისხისა და მონაცემთა გამოყენებისა და ანალიზის გაუმჯობესებას. პროგრამა მოიცავს და დაყოფილია ძირითად თემებად და მნიშვნელოვან ღონისძიებებად, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი აქტივობების არასრულ ჩამონათვალს:

WORLD BANK GROUP

2013-2016 წლებში დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მონაცემების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ანალიზი;

საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის (eProcurement) გამჭვირვალობის არსებული დონის შეფასება სახელმწიფო კონტრაქტების ღიაობის პრინციპებისა და სახელმწიფო კონტრაქტების ღიაობის სტანდარტის (OCDS) შესაბამისად;

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის (eProcurement) დანერგვისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შეფასება მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ელექტრონული შესყიდვების ინდიკატორების მიხედვით, ასევე მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის (eProcurement) გამოყენების ხელშეწყობა;

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა;

ინტეგრირებული და თანმიმდევრული სამოქმედო გეგმის შემუშავება გამჭვირვალობისა და შესყიდვების განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, რაც მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიც არის პროცედურული ნაკლოვანებების შემცირება; კონკურენციის გაუმჯობესება და ბაზრის განვითარება; განსაკუთრებით მსხვილი პროექტების შესახებ ღია მონაცემთა ფორმატებში ხელშეკრულების დადებისა დაშესრულების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ხელშეწყობა; სახელმწიფო შესყიდვის ტენდერებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობა.

## ღია კონტრაქტირება

### OPEN CONTRACTING DATA STANDARD

WORLD BANK GROUP

საქართველოს ელექტრონულ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში (eProcurement) მნიშვნელოვანი საჯარო და ხელმისაწვდომი ინფორმაციაა წარმოდგენილი, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ არის სათანადო თანამედროვე და აღსაქმელად გაადვილებულ ფორმატში მოცემული. ეროცურემენტ სისტემაში არსებული ინფორმაციის დიდი ნაწილის გადმოწერა შეუძლებელია, ხოლო დოკუმენტების უმრავლესობა წარმოდგენილია ფორმატში, რაც ხელს უშლის შემსყიდველი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ანალიზის შესაძლებლობას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

ხელმძღვანელობასა და IT-ტექნიკურ ჯგუფებთან დიალოგის შედეგად, მსოფლიო ბანკმა დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა სახელმწიფო კონტრაქტების ღიაობის სტანდარტის თანმიმდევრულიდანერგვა, რის მიხედვითაც პირველ რიგში ყურადღება ექცევა მარტივი ინფორმაციის გამოქვეყნებას, სატენდერო ინფორმაციის გამოქვეყნების სახით და ეტაპობრივად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ყველა სხვა დამატებითი ინფორმაციის გამოქვეყნებას.

2017 წლის 9 თებერვალს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა საკონტრაქტო მონაცემების გამოყენებისათვის სხვადასხვა მიდგომების განსაზღვრასა და აგრეთვე, მომხმარებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე მონაცემთა იდენტიფიცირებას. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო, კერძო სექტორისა (ძირითადად საშუალო და მცირე საწარმოები) და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

დღეისათვის, ღია კონტრაქტირების განხორციელების გეგმის პირველი ფაზის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უკვე მოახდინა 2016 წელს დაგეგმილი სატენდერო ფაზის მთლიანი მონაცემების სტრუქტურიზაცია OCDS სქემის მიხედვით და ამჟამად ქმნის ახალ ვებ-გვერდს, სადაც ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ღია (.json) ფორმატში. შემდეგი ეტაპები ითვალისწინებს სატენდერო, კონტრაქტის მინიჭების და საკონტრაქტო ფაზებში არსებული 2010 წლის ბოლოდან ყველა ხელმისაწვდომი და შეგროვებული ინფორმაციის გადატანას სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (eProcurement) და OCDS სქემაში, ხოლო შემდგომში აღნიშნული მონაცემების დამუშავებას, განცალკევებასა და ახალ ვებ-გვერდზე განთავსებას. შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებებში ზემოაღნიშნული ინფორმაციის ასახვის მიზნით, მსოფლიო ბანკმაშესყიდვების სააგენტოს შესთავაზა ღია კონტრაქტირების რამოდენიმე წინადადება, რომლის გათვალისწინება შესაძლებელია მოხდესმომავალ საკანონმდებლო დებულებებში.

## ელექტრონული შესყიდვების ინდიკატორები

საქართველოზე მორგებული შესრულების შეფასების სისტემის დანერგვისა და ძირითადი ინდიკატორების შემოღების გზით, მსოფლიო ბანკი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს სამი სტრატეგიული მიმართულებით: 1) სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის (eProcurement) სერვისების შემდგომი გან-

WORLD BANK GROUP

ვითარება, 2) აღნიშნული სისტემის მუშაობის შეფასება და 3) მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში ამ სისტემის გამოყენების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებები მიზნად ისახავს პროექტის მართვის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე რეგიონის მასშტაბით ელექტრონული სისტემის დანერგვასა და გამოყენებას. მსოფლიო ბანკსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შორის მოხდა რიგ ინდიკატორებსა და მათ ალგორითმებზე შეთანხმების მიღწევა, ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შეფასების მიზნით.

მსოფლიო ბანკის გუნდთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაადგინა რამდენიმე ინდიკატორი ზემოაღნიშნული სამი სტრატეგიული მიმართულებების შეფასების მიზნით. გარდა ამისა, შემუშავდა სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ კონკრეტულად რომელი ინდიკატორები უნდა შეფასდეს და ამ პროცესში რა ტიპის მონაცემები უნდა იქნას გამოყენებული. დადგინდა 46 ინდიკატორი, როგორიც არის მაგალითად გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შესყიდვა, მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა და ა.შ.

## მოგაცემთა ანალიზი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს მთავრობის შესაბამის უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, მსოფლიო ბანკის მიერ შეფასდა სახელმწიფო შესყიდვის სისტემა 2013 – 2015 წლებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან მიმართულებებზე, მათ შორის, პროცედურულ ნაკლოვანებებზე, შესყიდვის შედეგად მიღებულ შედეგებსა და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვის პროცესში მონაწილეობასა და ტენდერის მოგების შესაძლებლობაზე.

2017 წლის 7 თებერვალს ჩატარებული სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა 2013-2015 წლებში ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვების შეფასე-

WORLD BANK GROUP

ბას. შეხვედრას ესწრებოდა 50-მდე მონაწილე როგორც მთავრობიდან, ასევე სამოქალაქო სექტორიდან. სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა მნიშვნელოვანი დასკვნები სხვადასხვა მიმართულებით - ჩაშლილი ტენდერების მაღალი მაჩვენებელი, შესყიდვების დროს შეზღუდული კონკურენცია, მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის არსებული განსხვავებული მიდგომები, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობა კონკრეტული სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტენდერებში. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის ზრდისა და შესყიდვების შედეგების კუთხით კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, 2013-2015 წლების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვის დროს ელექტრონული ტენდერის (კონკურენტული მეთოდის) გამოყენება გამარტივებულ ტენდერთან (პირდაპირი კონტრაქტირება) შედარებით. საბოლოო ანგარიში, მათ შორის 2016 წლის მონაცემების ანალიზი, რეკომენდაციებთან და სამოქმედო გეგმასთან ერთად დაგეგმილია 2017 წლის ოქტომბრისათვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თხოვნით, შეიქმნა ანიმაციური ვიდეორგოლი, რომელიც ასახავს ელექტრონული შესყიდვის რეფორმას.

**ვიდეო-რგოლი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://procurement.gov.ge/Video.aspx.**

მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო განვითარების ბანკები აღნიშნულ სისტემას 2014 წლის სექტემბრიდან იყენებენ. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შედეგად უკვე ჩატარდა 200-მდე ტენდერი, შესყიდვების საერთო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარი. მთლიანი ეკონომია კი 9 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) საჯარო შესყიდვების სფეროში გამჭვირვალობის და ბიზნესის მონაწილეობის გაზრდის მიზნით

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს USAID-ის პროექტთან „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G), ამ პროექტის დაწყების დღიდან

**G4G** არის USAID-ის ხუთწლიანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური რეფორმების სამართლიან და გამჭვირვალე შემუშავებას და განხორციელებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის კონკურენტული პირობების შესაქმნელად. დასახული მიზნის მისაღწევად, პროექტი ხელს უწყობს სამთავრობო, კერძო და სამოქალაქო სექტორების შესაძლებლობათა ზრდას და მათ შორის კონსტრუქციულ დიალოგს და თანამშრომლობას ეკონომიკური განვითარების რეფორმებზე, ასევე, მათ გამჭვირვალე მონიტორინგს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

# USAID

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო G4G-ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტნიორი და ბენეფიციარია. ერთობლივად განხორციელდა უკვე ბევრი აქტიობა და მინი-პროექტები:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თხოვნით, G4G-იმ ჩაატარა ბიზნეს კვლევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თბილისსა და რეგიონებში და განსაზღვრა, თუ რა მიაჩნია კერძო სექტორს ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ხარვეზად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესის მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა. კომპანიების დიდი ნაწილი არასდროს ჩართულა სახელმწიფო შესყიდვებში, რადგან მათთვის სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ინფორმაცია სახელმწიფო ორგანიზაციების ტენდერების შესახებ არ იყო ხელმისაწვდომი.

ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის და კერძოდ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ბიზნესის მეტი ჩართულობისათვის, G4G-იმ მხარდაჭერა გაუწია სააგენტოს დეტალური საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაში. კომუნიკაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ცოდნითა და მეთოდებით სააგენტოს საშუალება ექნება ბიზნესისადა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს განუმარტოს სახელმწიფო შესყიდვების უპირატესობები.

საჯარო შესყიდვების უკეთ გაცნობისა და საზოგადოებისთვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ G4G-ის მხარდაჭერით არაერთი შეხვერდა გამართა კერძო და საჯარო სექტორებს შორის ბიზნეს-ასოციაციების ჩართულობით. ასევე, მოაწყო მედია ტური ქართველი ჟურნალისტებისათვის სააგენტოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობით. G4G-ის დახმარებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოსცა მომხმარებლის სახელმძღვანელო სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული სისტემის შესახებ.

G4G განაგრძობს სააგენტოს მხარდასაჭერი აქტივობებს, ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით და კვლევაში წარმოდგენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

G4G-ის გრანტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენერთა ტრენინგების კურსის ჩატარება ქვეყნის რეგიონებში, რათა მათ მოგვიანებით შეეძლოთ ბიზნესის უფრო მეტი წარმომადგენლის გადამზადება.

# სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო შესყიდვებში დავების თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში 2017 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 30 ივნისის ჩათვლით წარმოდგენილი იქნა 1004 საჩივარი

**2017 წელს წარმოდგენილი 1004 საჩივრიდან:**

| | |
|---|---|
| დაკმაყოფილდა | 130 საჩივარი |
| არ დაკმაყოფილდა | 262 საჩივარი |
| ნაწილობრივ დაკმაყოფილდა | 232 საჩივარი |
| დაუშვებლად მიჩნეული | 345 საჩივარი |
| საჩივარი გაუქმებულია | 35 საჩივარი |



# სწავლება გრძელდება

2017 წლის პირველ და მეორე კვარტლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა რვა ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს- ებისა და სხვ.), ასევე საჯარო სკოლების შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სულ გადამზადდა 601 მსმენელი. აქედან, 294 მსმენელი (48,9%) სახელმწიფო უწყებების, 209 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (34,8%), ხოლო 98 - საჯარო სკოლების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი (16,3%).

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

601 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 379 ქალი (63 %) და 222 (37 %) მამაკაცი

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

35 წლამდე - 330 მსმენელი (55 %); 50 წლამდე - 229 მსმენელი (38,1 %);
65 წლამდე - 42 მსმენელი (6,9 %)

2017 წლის 6 თვეში, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სამი კატეგორიის სერტიფიკატი. მათ შორის:

| | |
|---|---|
| წარმატებით ჩააბარა ტესტირება | 26 მსმენელი (4,4 %) |
| კარგად ჩააბარა ტესტირება | 391 მსმენელი (65 %) |
| დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება | 162 მსმენელი (27 %) |
| ვერ გადალახა ზღვარი | 11 მსმენელი (1,8 %) |
| არ გამოცხადდა ტესტირებაზე | 11 მსმენელი (1,8 %) |

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (601-დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 591 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

## 2015 წელს ცხელ ხაზზე შემოვიდა 18067 ზარი, აქედან:

ძალიან კარგი - 487 მსმენელი, 82,4 %
კარგი - 104 მსმენელი, 17.6 %
არადამაკმაყოფილებელი, 0 %

## მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:

ძალიან წარმატებული - 250 მსმენელი, 42,3 %
წარმატებული - 336 მსმენელი, 56,8 %
წარუმატებელი - 5 მსმენელი, 0,9%

## მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:

ნორმალური - 445 მსმენელი, 75,3 %
ხანგრძლივი - 15 მსმენელი, 2,5 %
ხანმოკლე - 131 მსმენელი, 22.2 %

## მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:

აუცილებელია - 360 მსმენელი, 60,9 %
საჭიროა - 227 მსმენელი, 38.4 %
არ არის საჭირო - 4 მსმენელი, 0,7%

## ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - 422 მსმენელი, 71,4 %
კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - 156 მსმენელი, 26.4 %
არაკვალიფიციურად არის შედგენილი - 13 მსმენელი, 2.2 %

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ამოქმედების დღიდან, ანუ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, გადამზადებულია 2131 (ორიათასასოცდათერთმეტი) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: 963 (ცხრაასსამოცდასამი) მსმენელი სახელმწიფო უწყებების (45,1 %),

ხოლო 1015 (ათასთხუთმეტი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (47,6 %), 98 (ოთხმოცდათვრამეტი) საჯარო სკოლების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი (4,7 %). ასევე, 55 (ორმოცდათხუთმეტი) ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი (2,6 %).

# სტატისტიკური მონაცემები

2017 წლის პირველ ნახევარში სააგენტოს ფინანსური მართვისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში და უზრუნველყოფდა:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბიუჯეტის დაგეგმვას და შესრულებას, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვას და განხორციელებას;

უწყების მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული კუთხით გამართულად ფუნქციონირებას;

აქტიურად აწარმოებდა მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებას შესყიდვების სისტემის შესახებ როგორც საკანონმდებლო, ასევე, ინსტიტუციური და შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე მიუთითებს როგორც ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ასევე კანცელარიის მიერ განხორციელებული დოკუმენტბრუნვის შინაარსობრივი სტატისტიკა.

**2017 წლის პირველ ნახევარში ცხელ ხაზზე შემოვიდა 10525 ზარი, აქედან:**

| | |
|---|---|
| ტექნიკური პარამეტრების/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები | 4737 (45%) |
| საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები | 944 (8.97%) |
| კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები | 2889 (27.45%) |
| დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები | 566 (5.38%) |
| კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებული კითხვები | 1047 (9.94%) |
| გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები | 124 (1.18%) |
| სხვა (კითხვები, რომელიც არ ხვდება ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში) | 218 (2.07%) |

ზარების მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ იშვიათი, ერთეული გამონაკლისების გარდა, ერთი და იგივე საკითხზე ერთი და იგივე მომხმარებელი ორჯერ და მეტჯერ არ რეკავს. აღნიშნული მიუთითებს, რომ ცხელი ხაზის თანამშრომლები მომხმარებელს აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას/განმარტებას.

სააგენტოს აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობაზე მიუთითებს საგენტოს წლიური დოკუმენტბრუნვის შინაარსობრივი სტატისტიკა (სააგენტოში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა).

## 2017 წლის პირველ ნახევარში სააგენტოს კანცელარიაში შემოსული წერილების შინაარსობრივი სტატისტიკა:

| სახეობა | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| შემოსული კორესპონდენცია სულ, აქედან: | 6226 | 944 (8.97%) |
| ტენდერის კონკურსის შეწყვეტის შესახებ | 56 | 0.899453903 |
| განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ | 19 | 0.30517186 |
| დამატებითი ინფორმაცია დავასთან დაკავშირებით | 522 | 8.38419531 |
| მინდობილობა | 833 | 13.37937681 |
| მომართვა გადაუდებელი შესყიდვის შესახებ | 285 | 4.577577899 |
| მომართვა/განცხადება/საჩივარი | 45 | 0.722775458 |
| საგამოძიებო ორგანოდან | 23 | 0.369418567 |
| სამინისტროებიდან | 20 | 0.321233537 |
| სასამართლოებიდან | 492 | 7.902345005 |
| საქართველოს მთავრობიდან | 22 | 0.35335689 |
| საქართველოს პარლამენტიდან | 2 | 0.032123354 |
| საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან | 1 | 0.008446659 |
| სისტემაში ჩანაწერის/ცვლილების შეტანის შესახებ | 443 | 7.11532284 |
| სხვადასხვა | 1657 | 13.99611454 |
| შეტყობინება მრავალწლიანი შესყიდვის შესახებ | 84 | 1.349180854 |
| წერილის პასუხად | 1188 | 19.08127208 |
| „თეთრი სიის“ შესახებ მომართვა | 87 | 1.397365885 |
| „შავი სიის“ შესახებ წერილობითი შეტყობინება | 447 | 7.179569547 |

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ 2017წლის პირველ ნახევარში სააგენტოდან გაგზავნილ იქნა 2929 წერილი; info@spa.ge-ის ელ.ფოსტის მისამართზე შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 3125 წერილს; გაიგზავნა 1063 წერილი; დაარქივდა 1120 წერილი; აღირიცხა დავების განხილვის საბჭოს სხდომაზე მოსული 781 სტუმარი.

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიზანია კიდევ უფრო გამჭვირვალე, დახვეწილი და მოქნილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შექმნა. შესაბამისად, სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში მუდმივად განაგრძობს როგორც სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შემდგომი სრულყოფის, ასევე, ადმინისტრაციული დახვეწის კუთხით მუშაობას და შესაბამისი რეფორმების განხორციელებას.

www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სააგენტოში მოქმედებს სისტემის მომხმარებელთა მომსახურების ცენტრი. სამუშაო დღეებსა და საათებში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:

**(032) 2 48 48 22**

და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე მიიღოთ კომპეტენტური პასუხები და კონსულტაცია.


ეროვნული
ბიბლიოთეკა
ბარცხანა სანაპირო
ცერნაკის შეს.
ჰაბარძეულის ქ.
ნავთლუღის ქ.
ნავთლუღის ქ.
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა